

## სკოპინგის დასკვნა N24

### საერთო მონაცემები:

**საქმიანობის დასახელება:** ლითონშემცველი მადნის გამოწვისა და აგლომერირების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია;

**საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი:** შპს „აგლომერატი“, ქ. თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპუსი 13 ბ, ბ-35;

**საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. რუსთავი, მაზნიაშვილის ქუჩა N2ა;

**სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი:** ფ/პ გიული დარციმელია;

**განცხადების შემოსვლის თარიღი:** 25.03.2022;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შპს „აგლომერატი“ (ს/კ - 405497804) მიერ წარმოდგენილი იქნა - ქ. რუსთავში, ლითონშემცველი მადნის გამოწვისა და აგლომერირების საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავში, მაზნიაშვილის ქუჩაზე - N2 ა, შპს „აგლომერატი“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 02.05.03.420). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X- 502801.26 Y- 4601476.29; X- 502837.59 Y- 4601502.93; X - 502858.28 Y- 4601474.64; X- 502821.95 Y- 4601448.11. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 325 მეტრის მანძილით (ქ. რუსთავი). საპროექტო ტერიტორია მოქცეულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს შორის. საპროექტო ნაკვეთის სიახლოვეს განთავსებულია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის ობიექტები, მათ შორის 80-88 მეტრში მდებარეობს ლითონის კონსტრუქციების მწარმოებელი საწარმოები. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია 2 ბეტონის ორმო (თითოეულის სიგანე - 12 მეტრი და სიგრძე - 18.5 მ), რომელიც გამოყენებული იქნება აგლომერატის მზა პროდუქციის დასაწყობებისთვის.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ტექნოლოგიური (აგლომერაციის შეცხობის ღუმელისა და მტვერდამჭერი დანადგარის) ალტერნატივა და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. მტვერდამჭერი სისტემის ალტერნატიული ვარიანტებიდან (სკრუბერი, ციკლონი, სახელოიანი ფილტრები) გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭა კომბინირებულ - ორსაფეხურიან მტვერდამჭერ სისტემას. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა

უარყოფილ იქნა დადებითი სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო დანადგარი საშუალებას იძლევა ფეროშენადნობების წარმოებისას მტვერდამჭერ სისტემებში დაჭერილი მტვრის აგლომერირებისა (შეცხოვა) და ნედლეულის სახით გამოყენების შესაძლებლობას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო დანადგარი წარმოადგენს მანგანუმის მაღალი შემცველი მტვრის კვლავწარმოებაში დაბრუნებისათვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტებიდან (I - ს/კ 02.05.03.420; II - ს/კ 02.05.03.351) ტერიტორიაზე არსებული ტექნიკური პირობებისა და მოსახლეობამდე მანძილის გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატივას (ს/კ 02.05.03.420). **სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ განხილული და გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ტექნოლოგიური ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, ყველა გონივრული ალტერნატივის და თითოეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეების მითითებით.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში დაგეგმილია ლითონშემცველი მადნის გამოწვისა და აგლომერირების დანადგარის მონტაჟი, რომელიც უზრუნველყოფს წვრილფრაქციული მანგანუმის შემცველი მტვრის შეცხოვას. წელიწადში 330 სამუშაო დღის და დღეში 24 საათიანი სამუშაო რეჟიმის პირობებში (7 920 სთ/წელ), საწარმოში წლიურად დაგეგმილია - 66 000 ტ აგლომერატის მიღება (დღეში 200 ტ). მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები: ფეროშენადნობების ასპირაციული მტვერი - 99000 ტ/წელ; კოქსის ანაცერი - 6600 ტ/წელ.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტები იქნება: ამრევი, გაფრქვევის მილი, ციკლონი, სველი მტვერდამჭერი სისტემა, ხიდური ამწე (ჯოჯგინა), მზა პროდუქციის მიმღები საწყობი, მანგანუმის ასპირაციული მტვრის მიმღები საწყობი, ასევე გამწოვი ვენტილატორი (4 ცალი), აგლომერატის შესაცხოვრი ე.წ. „ცხურებიანი ტაფა“ (8 ცალი) და მისი სადგარი.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად, საწარმოში შემოსული წვრილფრაქციული მანგანუმის მადანი დამტვირთავით მიეწოდება მიმღებ ბუნკერებს. ბუნკერში ასევე ჩაიყრება კოქსის ანაცერი, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ამრევს (არევის პროცესი გაგრძელდება დაახლოებით 10-15 წუთი). შემდგომ ეტაპზე, აგლომერატის ფოროვანი მასა (საფენის სახით) გადაიტვირთება ე.წ. ცხურებიან ტაფებზე, რის შემდგომაც მოხდება ამრევიდან შეზავებული სააგლომერაციო კაზმის (სისქით - 200-350 მმ) ტაფაზე დატანა. ტაფაზე დატანილი კაზმი ხიდურა ამწის მეშვეობით დაიდგმება სპეციალურ დგარებზე და მოხდება მისი აალება-ანთება. ანთებისთანავე ჩაირთვება გამწოვი ვენტილატორები, რომლის საშუალებით ნამწვი აირები გაიწოვება მტვერდამჭერ სისტემაში, შემდგომ კი გადავა გაფრქვევის მილებში. ტაფებში წვის შედეგად მოხდება კაზმის გახურება და აგლომერატის შეცხოვა. შეცხოვის პროცესის დასრულების შემდეგ, ხიდურა ამწის დახმარებით ტაფა მოიხსნება სადგარიდან და მოხდება აგლომერატის ჩამოცლა მზა პროდუქციის მიმღებ საწყობში -

ორმოში, ხოლო შემდგომ გადავა მზა პროდუქციის დახურულ სასაწყობე შენობაში. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია აგლომერაციის პროცესის ტექნოლოგიური სქემის ამსახველი ნახაზები.

აგლომერაციისას წარმოქმნილი აირმტვერნარევის გაწმენდასათვის გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი მტვერდამჭერი სისტემა, რომელიც შედგება ციკლონისა და სველი მტვერდამჭერისაგან. სისტემის ჯამური ეფექტურობა - 98 %-ს შეადგენს. აირმტვერნარევი ატმოსფეროში გაიფრქვევა 12 მეტრის სიმაღლის და 1.2 მ დიამეტრის მილით.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და სახანძრო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის საწარმო წყალს აიღებს ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. წყლის გამოყენება ასევე გათვალისწინებულია საწარმოო მიზნებისთვის, სველ მტვერდამჭერ სისტემაში (დანაკარგების შესავსებად წელიწადში საჭიროა 33 მ<sup>3</sup> წყალი). საპროექტო ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელში. საწარმოო ტერიტორიიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები მოხვდება ქ. რუსთავის სანიაღვრე სისტემებში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს, ვინაიდან საწარმოო პროცესი წარიმართება ზემოდან დახურულ შენობაში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისთვის. პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან.

საპროექტო ობიექტზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროები იქნება: აგლომერაციის ნედლეულის საწყობი; აგლომერაციის ნედლეულის მიმღები ბუნკერები; ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორი; აგლომერაციის ნედლეულის შემრევი; აგლომერაციის საამქროს შესაცხობი უბანი; მზა პროდუქციის დროებითი განთავსების ორმო. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წინასწარი მონაცემებით (საწარმოს სიმძლავრის, მტვერდამჭერი სისტემების ჯამური ეფექტურობის, უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილისა და კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით) ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (325 მ), დასაშვებ ნორმებს არ გადააჭარბებს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ხმაურის ჯამური დონე 90 დბ იქნება. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად ხმაურის დონე საწარმოდან 325 მ-ზე დასაშვებ ნორმაზე დაბალი იქნება.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ობიექტზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში და გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. საწარმოს ექსპლუატაციისას მტვერდამჭერში დაჭერილი მასა შეგროვების შემდეგ ნედლეულის სახით გამოყენებული იქნება აგლომერაციის დანადგარში. ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრების, ასევე საპოხი მასალების ნარჩენები, წარმოქმნის შემთხვევაში გადაეცემა აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. **საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში შესაბამისად, მიზანშეწონილია გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს, როგორც 500-მეტრიან რადიუსში, ისე მის მიმდებარედ არსებული სამრეწველო ობიექტებიდან მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტის დეტალური შეფასების/ანალიზი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.**

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ინფორმაცია გამოქვეყნდა ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 15 აპრილს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „აგლომერატის“, საკონსულტაციო ორგანიზაციის, სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე შენიშვნები/მოსაზრებები დააფიქსირეს სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ წარმომადგენლებმა, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საწარმოს ირგვლივ არსებული სხვა საწარმოების ფუნქციონირებისა და უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტის მანძილების დაზუსტებას, ასევე საწარმოში უწყვეტი მონიტორინგის სისტემის მოწყობას. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს კომპანიისა და სამინისტროს წარმომადგენლებმა. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია, ხოლო ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე

მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება. სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;**
4. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:**
  - პროექტის საჭიროების დასაბუთება (სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი დადებითი და ეკოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ურთიერთშეწონის საფუძველზე);
  - დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
  - საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ის და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
  - საწარმო ობიექტის გენერალური გეგმა და საწარმოს ტერიტორიის სიტუაციური სქემა, შესაბამისი აღნიშვნებით და ექსპლიკაციით. მათ შორის, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს საპროექტო დანადგარები, ტექნოლოგიური მოწყობილობები და უბნები, დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაფრქვევისა და ხმაურის წყაროები (შესაბამისი ფოტო მასალა);
  - საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი (მათ შორის გაფრქვევის წყარო(ები)დან) უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი), ასევე ზედაპირული წყლის ობიექტამდე/ობიექტებამდე;

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ახლომდებარე მოქმედი/საპროექტო ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით);
- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- ინფორმაცია საპროექტო საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საწარმოს საპროექტო წარმადობის (საათი, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის შესახებ;
- საწარმოს ინფრასტრუქტურული დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით. მათ შორის, პროექტით გათვალისწინებული აგლომერირების დანადგარის შესახებ დეტალური ინფორმაცია, სიმძლავრის, ტიპისა და წარმადობის მითითებით;
- საწარმოს ტექნოლოგიური სქემის/ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით, ნედლეულის შემოტანიდან-პროდუქციის მიღებამდე;
- ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულის (თითოეული სახეობის) შესახებ. მათ შორის, დეტალური ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ;
- ამასთან დაზუსტებული ინფორმაცია საწარმოების შესახებ, საიდანაც დაგეგმილია მანგანუმის შემცველი მტვრით საპროექტო საწარმოს მომარაგება;
- ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ორმოების და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის ინფორმაცია:
  - ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის/გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებით;

- ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ. მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოდრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში (ნედლეულისა და პროდუქციის შემოზიდვა/გაზიდვის) გადაადგილების აკრძალვა;
- ინფორმაცია ნედლეულის პროდუქციის გადაზიდვისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული საპროექტო ორსაფეხურიანი მტვერდამჭერი სისტემის შესახებ, თითოეული საფეხურის (ციკლონი, სველი მტვერდამჭერი) ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით;
- ინფორმაცია მტვერდამჭერი მოწყობილობ(ებ)ის პარამეტრების დაცვის და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის შესახებ (მათ შორის ფილტრების დროული გამოცვლის შესახებ);
- ინფორმაცია საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო მიზნით წყალმომარაგების შესახებ. ამასთან, **დაზუსტებული ინფორმაცია** საწარმოო მიზნით ობიექტის წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია საწარმოს მიერ მოხმარებული წყლის (სასმელ-სამეურნეო, საწარმოო) რაოდენობის შესახებ;
- სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო წყლების მართვის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია (კანალიზაციის სქემის გენგეგმაზე დატანილი);
- საწარმოს ტერიტორიაზე და ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. ამასთან, განხილული იქნეს საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის საწარმოს ინფრასტრუქტურის (ანგარის ტიპის ნაგებობის მოწყობა და სხვ.) მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური აღწერა;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- ინფორმაცია არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

**4.1. გზშ-ის ანგარიშში, ნარჩენების მართვის ქვეთავში მოცემული უნდა იყოს:**

- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა და ა.შ) და მათი შემდგომი მართვის შესახებ (ნარჩენების დამუშავების აღდგენის/განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ I /II დანართის შესაბამისად) საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- საწარმოში დასამუშავებლად მიღებული ნარჩენ(ებ)ის კოდი და დასახელება („სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N426 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად);
- ინფორმაცია დასამუშავებელი ნარჩენ(ებ)ის რაოდენობისა და წარმოშობის შესახებ;

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება მათ შორის:**

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
  - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების დეტალური აღწერილობა;
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის შესახებ ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოთა და სტანდარტის მითითებით;
  - გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- საწარმოს სამუშაო რეჟიმის (24 სთ) გათვალისწინებით დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე



დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;

- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში და მის მიმდებარედ არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სატრანსპორტო ოპერაციების გათვალისწინებით. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში განისაზღვროს შესაბამისი დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

6. საკითხები/შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის შემოტანის საკითხები, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დეტალურად იქნას აღწერილი ნედლეულის შემოტანის პროცესი;
  - დაზუსტებული ინფორმაცია მტვერდამჭერში დაჭერილი მასის კვლავწარმოებაში გამოყენების შესახებ;
  - სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული ორმოების ფუნქციური დატვირთვის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ მე-9 გვერდზე აღნიშნულია, რომ ორმოების გამოყენება გათვალისწინებულია მზა პროდუქციის შენახვისთვის, ხოლო მე-19 გვერდზე მითითებულია, რომ ორმოები გამოყენებული იქნება საწარმოში ნედლეულად გამოსაყენებელი მანგანუმის შემცველი მტვრის ნარჩენების დროებითი უსაფრთხო განთავსებისათვის, შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე უნდა წარმოდგენილ იქნეს დეტალური ინფორმაცია ნედლეულად გამოსაყენებელი მანგანუმის შემცველი მტვრის ნარჩენების და წარმოების შედეგად მიღებული მზა პროდუქციის დასაწყობების შესახებ;
  - სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში არსებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ვიბრაციის გამომწვევ წყაროს, არ გადააჭარბებენ დასაშვებ ნორმებს, ზემოხსენებული საკითხი გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს განმარტებას;
  - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა: რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები; გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება: ზემოქმედება გრუნტის წყლებზე, საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
  - გზშ-ის ანგარიშში ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი იქნეს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან ქ. რუსთავში ჰაერის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში განისაზღვროს რამდენად შეცვლის დაგეგმილი წარმოება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საერთო ფონს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მითითებული იქნას რა სახის ღონისძიებებს დაგეგმავს და განახორციელებს კომპანია ქ. რუსთავის საერთო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- ❖ გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით).

**დასკვნითი ნაწილი:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „აგლომერატის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ლითონშემცველი მადნის გამოწვისა და აგლომერირების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას, **საგააღმწეოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.